ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3445984

ნომერი: AR1528717

თარიღი : 01.08.2017

გაცემის თარიღი : 02.08.2017

გაცნობის თარიღი : 02.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი 14 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი 1 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 1 აგვისტოს №AR1528717 განცხადებით მომართეს ზურაბ აბზიანიძემ და გიორგი გოშხეთელიანმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 14, მიმდებარედ, / დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი1, მიმდებარედ, შპს ,,ჯეოტერა 3"- ის საკუთრებაში არსებულმიწის ნაკვეთზე(საკ. კოდიN 01.10.08.006.611), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება, 2017 წლის 1 აგვისტოს №AR1528717 განცხადებით წარმოდგენილი ამავე პროექტის ნიშნულების შესწორებული გეგმებით.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლების მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 1 აგვისტოს №AR1528717 განცხადებით წარმოდგენილი ამავე პროექტის ნიშნულების შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 ივლისის №3431715 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.